



**ელექტრონული ტენდერის საშუალებით შპს „საქართველოს ფოსტის“ სარგებლობაში
არსებული ჯიხურების დაზღვევის მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია**

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი, 2016 წ.

სარჩევი

1. შესყიდვის ობიექტი	3
2. მომსახურების აღწერილობა.....	3
3. „შემსყიდველის“ პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი.....	3
4. დაზღვევის ტერიტორია.....	3
5. ტექნიკური პირობები	3
6. სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები და ინფორმაცია:.....	4
7. დამატებითი ინფორმაცია:.....	4
8. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N.....	5
9. დანართი 1	8
10. დანართი 2	9
11. დანართი 3	17
12. დანართი 4.....	18

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 შპს „საქართველოს ფოსტის“ სარგებლობაში არსებული არაუმეტეს 280 ცალი ჯიხურის დაზღვევის მომსახურება (CPV კოდი: 66500000).

არაუმეტეს 280 ჯიხურის დაზღვევის მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 26880,00 (ოცდაექვსიათასრვაასოთხმოცი) ლარს, ხოლო ერთი ჯიხურის სადაზღვევო პრემიის სავარაუდო ღირებულება შეადგენს თვეში არაუმეტეს 8,00 (რვა) ლარს.

2. მომსახურების აღწერილობა

2.1. დაზღვევის ობიექტი:

- 2.1.1 ჯიხურების კონსტრუქცია, მინებით;
- 2.1.2 პროდუქცია და სასაქონლო მარაგები (გარდა ნაღდი ფულის და ლატარიის ბილეთების).

2.2 დაფარული რისკები:

- 2.2.1 ხანძარი, მეხის დაცენა, აფეთქება, თვითმფრინავის ჩამოვარდნა;
- 2.2.2 სტიქიური უბედურება;
- 2.2.3 ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
- 2.2.4 მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება, დატბორვა (გარდა სახურავიდან ჩამოსული წყლით დაზიანება)

3. „შემსყიდველის“ პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი

3.1 ჯამური ლიმიტი მთლიან სადაზღვევო პერიოდზე - 500 000,00 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (გადახდის დღეს არსებული კურსით);

3.2 ფრანშიზა:

- 3.2.1 2.2.1, 2.2.2, 2.2.3 და 2.2.4 შემთხვევებზე 100,00 ლარი;
- 3.2.2 ქურდობისთვის 250,00 ლარი;
- 3.2.3 მინების დაზიანებაზე 0,00 ლარი.

4. დაზღვევის ტერიტორია

4.1 საქართველოს მთელი ტერიტორია.

5. ტექნიკური პირობები

5.1 სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) მითითებული უნდა იქნეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში -ლარი;

5.2 გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-11 მუხლის 2¹ პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით ან შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

5.3 მიმწოდებელს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

- 5.4 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული „შემსყიდველსა“ და „პრეტენდენტს“ შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;
- 5.5 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად დაზღვეული ჯიხურების ოდენობის მიხედვით (დაზღვევის პოლისების შესაბამისად). ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, თვის ბოლოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მომსახურების ღირებულების ამსახველი დოკუმენტის მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში;
- 5.6 მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ანალოგიური საქმიანობის მინიმუმ 5 (ხუთი) წლიანი გამოცდილება;
- 5.7 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან სრული 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.

6. სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- 6.1 კომპანიის რეკვიზიტები (საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი) დანართი #1-ის შესაბამისად;
- 6.2 ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი მომსახურების ღირებულება დანართი #3-ის შესაბამისად;
- 6.2 ინფორმაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ დანართი #4-ის შესაბამისად;
- 6.3 მომსახურების აღწერა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და სხვა დამატებითი პირობები რომელიც შემოთავაზებული უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ.

შენიშვნა: ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

7. დამატებითი ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი	მობ./ტელ.	ელ.ფოსტა
შორენა ოსკოპელი	577 33 40 40	sh.oskopeli@gpost.ge

8. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავედროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი

2016 წ.

შპს „საქართველოს ფოსტა“ (შემდგომში - შემსყიდველი), მისი გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გრიგოლ მატუაშვილის სახით, ერთის მხრივ და (შემდგომში - მიმწოდებელი) მისი სახით, მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA. ერთეაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

- 1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: შპს „საქართველოს ფოსტის“ სარგებლობაში არსებული 280 ცალი ჯიხურის დაზღვევის მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“), CPV კოდი: 66500000.
- 1.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.3. შესყიდვის ობიექტის მონაცემები (ტექნიკური აღწერილობა), რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ #_ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ (_____) ლარს.
- 2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. შემსყიდველის უფლება აქვს:

- 3.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- 3.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.
- 3.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

- 3.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 3.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

3.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- 3.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- 3.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.
- 3.4.2. შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

- 4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს -----
- 4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება -----.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.
- 5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ფოსტის“ _____.
- 5.3. ხელშეკრულების 3.4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

- 6.1. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.
- 6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში.
- 6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
- 6.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

- 7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.
- 7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- 8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

- 10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 10.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების

დასრულებისთანავე.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს -----

„შემსყიდველი“

შპს „საქართველოს ფოსტა“
ს/კ: 203 836 233
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ტელ: (032) 234 59 76
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ # GE13BG000000123286800

გრიგოლ მატუაშვილი

გენერალური დირექტორის
პირველი მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს:
ს/კ:
მის:
ტელ:
ს.ს.
ბანკის კოდი:
ა/ნ #

დირექტორი

რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული მისამართი:
- ბანკის დასახელება:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:

ზოგადი პირობები

1. განმარტებები

- 1.1. **შემსყიდველი** - პირი, რომელმაც გააფორმა დაზღვევის ხელშეკრულება “მზღვეველთან” (დამზღვევი);
- 1.2. **მიმწოდებელი** - სადაზღვევო კომპანია, რომელთანაც გაფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება (მზღვეველი);
- 1.3. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე;
- 1.4. **დაზღვევის ხელშეკრულება** - ხელშეკრულება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების, შესაბამისი განაცხადისა და მის საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ისაგან;
- 1.5. **სადაზღვევო პოლისი** - დაზღვევის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია შემსყიდველის მიერ შეძენილი სადაზღვევო დაფარვის დეტალები (პოლისი);
- 1.6. **სადაზღვევო პერიოდი** – დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია პოლისში;
- 1.7. **სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა. შესაძლებელია პოლისში განისაზღვროს ცალკე ლიმიტი სხვადასხვა ტიპის ქონების და რისკებისათვის (ქველიმიტი);
- 1.8. **სადაზღვევო პრემია** – დაზღვევის ღირებულება (პრემია). მისი ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია პოლისში;
- 1.9. **გამომუშავებელი პრემია** – პრემიის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან;
- 1.10. **ფრანშიზა** - თანხა, რომელსაც არ ანაზღაურებთ მიმწოდებელი. აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე;
- 1.11. **სადაზღვევო ტერიტორია** – პოლისში მითითებული კონკრეტული მისამართი, სადაც ვრცელდება დაზღვევა. დაზღვევა არ გავრცელდება იმ ქონების მიმართ, რომელსაც გადაადგილებენ ან რომელიც მდებარეობს სხვა ტერიტორიაზე (თუ სხვა რამ არის მითითებული პოლისში);
- 1.12. **სადაზღვევო შემთხვევა** – შემთხვევა, რომლის შედეგად დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი, დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დაზღვეული ქონების დაზიანება/ განადგურება.

2. ქონების დაზღვევა

- 2.1. **შემსყიდველს შეუძლია დააზღვიოს შემდეგი ქონება:**
 - 2.1.1. შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტები – საინჟინრო ელემენტები, რომელიც შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;
 - 2.1.2. შენობა-ნაგებობების შიდა მოპირკეთება (რემონტი) – კედლების, იატაკის და ჭერის ყველა სახის საღეს-სამღებრო სამუშაოები, გამოყენებული მასალების და დეკორატიული ელემენტების ჩათვლით; ასევე მათი მოპირკეთება ნებისმიერი სახის მასალით; კარ-ფანჯარა, შემინულობა და ტიხრები;
 - 2.1.3. საკომუნიკაციო მოწყობილობები: წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგაყვანილობა და გაზგაყვანილობა;
 - 2.1.4. მანქანა-დანადგარები და საწარმოო ხაზები;
 - 2.1.5. ინვენტარი, ავეჯი და ტექნიკა, ინტერიერის საგნები;
 - 2.1.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.
- 2.2. **დაზღვევას არ ექვემდებარება** (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკრეტულად არის მითითებული პოლისში):
 - 2.2.1. ბანკომატები, თვითმომსახურების ტერმინალები და სწრაფი გადახდის აპარატები;
 - 2.2.2. ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი, ძვირფასი ქვები, ბეწვეული და მისი ნაწარმი, განსაკუთრებული ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ნივთები, ხელოვნების ნიმუშები და სხვა სახის კოლექციები;
 - 2.2.3. ფასიანი ქაღალდები, ფული, ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტები, ხელნაწერები, ნახაზები, ნიმუშები;

- 2.2.4. ელექტრონული ინფორმაცია, პროგრამები, და სხვა არამატერიალური აქტივები;
- 2.2.5. ყველა სახის მიწისზედა და მიწისქვეშა გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები, რომელიც განკუთვნილია ელექტრო ენერჯის გადასაცემად და ყველა სხვა სახის ინფორმაციული კომუნიკაციისათვის;
- 2.2.6. ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, ფეთქებადი, ტოქსიკური და რადიოაქტიური ნივთიერებები;
- 2.2.7. მალარობი, კარიერები;
- 2.2.8. ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, ნარგავები, ნათესები და მათი მოსავალი;
- 2.2.9. სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოძრავი ტექნიკა: ავტომობილები და მისაბმელები, ტრაქტორები, ბულდოზერები, და სხვა სპეციალიზირებული ტექნიკა.

3. დაზღვეული რისკები

- 3.1. ანაზღაურდება დაზღვეული ქონების დაზიანება/დანაკარგი ან განადგურების შედეგად მიყენებული პირდაპირი ზიანი ქვემოთ მითითებული რისკების შედეგად. **შემსყიდველს** შეუძლია შეიძინოს სადაზღვევო დაფარვა ერთი ან რამოდენიმე რისკის კატეგორიებისაგან.
- 3.2. **ჯგუფი A**
 - 3.2.1. **ხანძარი** - ცეცხლი, რომელიც თავისით ვრცელდება ცეცხლის დანთებისათვის განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ;
 - 3.2.2. **მების დაცემა** – ატმოსფერული განმუხტვის შედეგად ქონების მიმართ გამოწვეული პირდაპირი ზიანი;
 - 3.2.3. **აფეთქება** – აფეთქება გამოწვეული აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი მატებით; რეზერვუარების აფეთქება ივარება იმ შემთხვევაში როდესაც ხდება რეზერვუარის კედლების რღვევა და წნევის გათანაბრება გარედან და შიგნიდან;
 - 3.2.4. **საფრენი აპარატის ჩამოვარდნა** – პილოტირებული საჰაერო ან კოსმოსური საფრენი აპარატის, ასევე მათი ნაწილების ვარდნა.
- 3.3. **ჯგუფი B**
 - 3.3.1. **სტიქიური მოვლენები** - სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, გრუნტის აწევა ან დაწევა, თოვლის სიმძიმით გამოწვეული ფიზიკური ზიანი, ჰაერის მასების მოძრაობა 20 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი პროცესებით ატმოსფეროში;
- 3.4. **ჯგუფი C**
 - 3.4.1. **ქურდობა, ქურდობის მცდელობა** - გულისხმობს დაზღვეულ ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო შეღწევით დაზღვეული ქონების ფარულ დაუფლებას ან მის მცდელობას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;
 - 3.4.2. **ძარცვა, ყაჩაღობა** – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები;
- 3.5. **ჯგუფი D**
 - 3.5.1. **მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება**, რომელიც მიმართულია დაზღვეული ქონების განზრახ დაზიანების ან განადგურებისაკენ;
 - 3.5.2. **სატრანსპორტო საშუალებათა შეჯახება**;
 - 3.5.3. **დატბორვა** – გამოწვეული წყალმომარაგების, გათბობის და კანალიზაციის სისტემის ავარიით, წყლის გაჟონვით ავტომატური ხანძარჩამქრობი მოწყობილობის მიმსხურებელი სისტემიდან, მესამე პირთა დაუდევარი ქმედებით;
 - 3.5.4. **კვამლით დაზიანება** - დაზღვეული ქონების ტერიტორიაზე მდებარე ცეცხლის გამომამუშავებელი ან გამომყენებელი, გამათბობელი დანადგარებიდან უეცრად წარმოქმნილი კვამლის შედეგად დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება.

4. გამონაკლისები

- 4.1. **დაზღვევა არ ანაზღაურებს დაზიანებას ან ზარალს გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:**
 - 4.1.1. ნივთიერებების შეღწევით ან გამოჟონვით, დაბინძურებით;
 - 4.1.2. დაზღვეული ქონების თვითაალებით, დუღილით, ლპობით, წონაში ცვლილებებით, დაობებით, ფერმენტაციით ან სხვა ბუნებრივი პროცესებით, რომლებსაც განიცდის დაზღვეული ქონება;

- 4.1.3. მღრღნელების ან და მავნებლების მიერ;
- 4.1.4. მშენებლობების, ნაგებობების ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების ნგრევა ან დაზიანება, თუ ეს გამოწვეულია მშენებლობის, დამზადების ან მასალის დეფექტით;
- 4.1.5. ნებისმიერი პირის თაღლითური ქმედებით;
- 4.1.6. ცვეთით, ამორტიზაციით ან გაუფასურებით;
- 4.1.7. ნებისმიერი დაზღვევამდე არსებული მიზეზებით;
- 4.1.8. ნიადაგის დაწვეთ, ძვრით ან სხვა ნებისმიერი გრუნტის მოძრაობით, თუ ისინი გამოწვეულია ასაფეთქებელი სამუშაოების შესრულების შედეგად, გრუნტის ამოღებით გამოქვაბულებიდან ან კარიერებიდან, მიწის სამუშაოების ჩატარებით, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად ჩატარებული სამუშაოებით ან და სხვა ნებისმიერი არაბუნებრივი მოვლენების შედეგად;
- 4.1.9. მიწისძვრით, თუ დაზღვეული ქონების დაზიანება/ განადგურება გამოიწვია მიწისძვრამ, რომლის სიმძლიერეც ნაკლებია 4.0 მაგნიტუდაზე რიხტერის სკალით;
- 4.1.10. დაზღვეულ ობიექტში ან ნაგებობაში თოვლის, სეტყვის ან წყლის შეღწევით ღია ფანჯრებიდან ან კარებიდან. ასევე სხვა ხვრელებიდან, რომელიც გაკეთებულია წინასწარგანზრახულად, ან წარმოქმნილია სიძველით ან სამშენებლო დეფექტით;
- 4.1.11. შიდა წვაზე მომუშავე მანქანა-დანადგარების მექანიზმების აფეთქების შედეგად, რომელიც წარმოიქმნება წვის კამერებში;
- 4.1.12. ელექტრო მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლით რომელიც გამოწვეულია მეხის დაცემით (მაგრამ დაზღვეულია მეხის დაცემის შედეგად გამოწვეული ხანძრით);
- 4.1.13. დაზღვეული ქონების ცეცხლით დამუშავებისას, სითბოთი ან სხვა თერმული ზემოქმედებით, რომელსაც ითვალისწინებს ტექნოლოგიური პროცესი;
- 4.1.14. ქონების თვითაალების შედეგად, რომელიც გამომდინარეობს მისი ბუნებრივი თვისებებიდან;
- 4.1.15. დაზღვეული ქონების ან რაიმე ნივთის ან ნაწილის გაუჩინარებით;
- 4.1.16. დანესტიანებით;
- 4.1.17. ზარალს, წარმოქმნილს კვამლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად;
- 4.1.18. ზარალს, გამოწვეულს წყალმომარაგების/გათბობის სისტემის ზედმეტად დატვირთვით;
- 4.1.19. დატბორვით გამოწვეულ ზარალს, რომელიც მიყენებულ იქნა ექსპლუატაციაში ჯერ არ გაშვებული შენობებისთვის და მათ შიგნით მდებარე ქონებისათვის;
- 4.1.20. **შემსყიდველის/მოსარგებლის, ასევე შემსყიდველთან/მოსარგებელსთან** მომუშავე პირების ან **შემსყიდველის/მოსარგებლის** უფლებამოსილი პირების განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით დაზღვეული ქონების მიმართ;
- 4.1.21. კონფისკაციით, რეკვიზიციით, დაპატიმრებით ან სახელმწიფო ორგანოების ბრძანებით დაზღვეული ქონების დაზიანებით/განადგურებით;
- 4.1.22. ბირთვული აფეთქების ზემოქმედებით, რადიაციის ან რადიოაქტიური დაბინძურებით;
- 4.1.23. საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), შეიარაღებული ამბოხებით, მასობრივი არეულობით ან სამოქალაქო მღელვარებით, გაფიცვით, სამოქალაქო ომით, სამხედრო გადატრიალებით, ან სახალხო აჯანყებით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლების ქმედებით, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობით ან სხვა ნებისმიერი მოვლენით ან გარემოებით, რის შედეგადაც გამოცხადებულია სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობა, ან ყოველივე ამისაგან გამომდინარე მიზეზებით;
- 4.1.24. ნებისმიერი ტერორისტული აქტის ან მისი მცდელობის შედეგად.

5. საფრთხის გაზრდა

- 5.1. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედებისას, **შემსყიდველი ან მოსარგებლე** ვალდებულია, როგორც კი გახდება **შემსყიდველისთვის** ცნობილი შეატყობინოს **მიმწოდებელს** საფრთხის გაზრდის შესახებ (არსებითი გარემოებების შესახებ, რომელიც აღმოცენდა დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ);
- 5.2. არსებით გარემოებად განიხილება, მაგალითად, დაზღვეული ქონების გადაცემა იჯარით ან გირაოთი, ქონებაზე უფლებების გადასვლა სხვა პირზე, დაზღვეული ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება,

განადგურება ან რეკონსტრუქცია, უმეტესადაა დატოვება, სადაზღვევო განაცხადში მითითებული ინფორმაციის შეცვლა;

- 5.3. თუ **შემსყიდველი** განზრახ გამოიწვევს საფრთხის გაზრდას, **მიმწოდებელს** შეუძლია მოშალოს დაზღვევის ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინების ვადის დაცვის გარეშე;
- 5.4. საფრთხის გაზრდის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, **მიმწოდებელს** შეუძლია მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შეცვლა, **პრემიის** გაზრდა ან ხელშეკრულების შეწყვეტა;
- 5.5. თუ **შემსყიდველი** უარს აცხადებს დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე ან დამატებითი **პრემიის** გადახდაზე, **მიმწოდებელი** დაზღვევის ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას საფრთხის გაზრდის მომენტიდან;
- 5.6. დამოუკიდებლად იმისა, მოხდა თუ არა საფრთხის გაზრდა, **მიმწოდებელს** უფლება აქვს დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეამოწმოს დაზღვეული ქონების მდგომარეობა, ასევე **შემსყიდველის** მიერ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობა.

6. სადაზღვევო თანხა

- 6.1. სადაზღვევო თანხა ყოველი დასაზღვევი ქონებისათვის არ უნდა აღემატებოდეს მის რეალურ ღირებულებას. თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში აღმოჩნდა, რომ სადაზღვევო თანხა აღემატება რეალურ ღირებულებას, მაშინ ორივე მხარეს გვაქვს უფლება შევამციროთ სადაზღვევო თანხა ქონების რეალურ ღირებულებამდე;
- 6.2. **რეალური ღირებულება განისაზღვრება:**
 - 6.2.1. შენობა-ნაგებობებისათვის, შიდა მოპირკეთებისა და საკომუნიკაციო მოწყობილობებისთვის: ხარჯები, რომელიც საჭიროა შენობის აშენებისათვის, შიდა მოპირკეთების და საკომუნიკაციო მოწყობილობების აღდგენისათვის, იგივე ადგილას, ანალოგიური ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ცვეთის გამოკლებით;
 - 6.2.2. მანქანა-დანადგარების და საწარმოო ხაზებისთვის, ინვენტარის, ავეჯის და ტექნიკის, ინტერიერის საგნებისათვის: თანხა, რომელიც საჭიროა ანალოგიური პარამეტრების მქონე ქონების შესაძენად. იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია რეალური ღირებულების განსაზღვრა ასანაზღაურებელი თანხის კალკულაციისას დავეყრდნობით ურთიერთშეთანხმებული ექსპერტის კალკულაციას;
 - 6.2.3. სასაქონლო-მატერიალური მარაგებისათვის, რომელიც იწარმოება **შემსყიდველის** მიერ (როგორც დაუმთავრებელი ასევე დამთავრებული) – წარმოების დანახარჯები, რომელიც საჭიროა ხელმეორედ პროდუქციის საწარმოებლად, მაგრამ არაუმეტეს მისი თვითღირებულებისა;
 - 6.2.4. სასაქონლო-მატერიალური მარაგებისათვის, რომლითაც ვაჭრობს **შემსყიდველი**, ასევე ნედლეული რომელიც შეძენილია **შემსყიდველის** მიერ – მათი შესაძენი ფასის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს მიმდინარე საბაზრო ფასებისა;
- 6.3. შეფარდება სადაზღვევო თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის განისაზღვრება ყოველი ცალკეული ობიექტისათვის/ ობიექტთა ჯგუფისათვის, რომლებიც მითითებულია **პოლისში**;
- 6.4. სადაზღვევო ანაზღაურების სახით (დაზღვეული ქონების გადარჩენის ხარჯების ჩათვლით) **მიმწოდებელი** არ გადაიხდის უფრო მეტს ვიდრე არის სადაზღვევო თანხა ან ქონების რეალური ღირებულება;
- 6.5. სადაზღვევო თანხა შემცირდება **მიმწოდებლის** მიერ ყველა ანაზღაურებული ზარალის და გამოყენებული **ფრანშიზის** ოდენობით. სადაზღვევო თანხა შემცირდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან;
- 6.6. დაზიანებული ქონების აღდგენის ან შეკეთების შემდეგ, **შემსყიდველს** შეუძლია დამატებითი **პრემიის** გადახდის სანაცვლოდ აღადგინოს საწყისი სადაზღვევო თანხა.

7. მხარეთა ვალდებულებები:

- 7.1. **შემსყიდველი** ვალდებულია გადაიხადოს **პრემია პოლისში** მითითებული წესით და ოდენობით. **პრემიის** გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში **მიმწოდებელი** თავისუფლდება დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;
- 7.2. **შემსყიდველი** ვალდებულია, განაცხადში გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მოიწოდოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია **მიმწოდებელს**, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის;

- 7.3. **შემსყიდველი** ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა თავიდან აიცილოს დაზღვეული ქონების დაზიანება დაზღვეული რისკის შედეგად;
- 7.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას **შემსყიდველი/მოსარგებლე** ვალდებულია:
- 7.4.1. სადაზღვევო შემთხვევის აღმოჩენისთანავე (მაგრამ არაუგვიანეს შემთხვევიდან 24 საათისა), შეატყობინოს **მიმწოდებელს**, ამის შესახებ 24 საათიან ცხელ ხაზზე +995 32 2505111 (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოფიციალურ არასამუშაო დღეებში შეუძლებელი იყო გქონოდათ ინფორმაცია შემთხვევის შესახებ);
- 7.4.2. შეტყობინება უნდა იყოს დადასტურებული წერილობით 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 7.4.3. სადაზღვევო შემთხვევის აღმოჩენისთანავე, ასევე შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ:
- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში - შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;
 - აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემის შემთხვევაში - შესაბამის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოებს;
 - წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელქტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის შემთხვევაში - შესაბამის პასუხისმგებელ უწყებს;
- 7.4.4. შეკრიბოს **მიმწოდებლის**, სამართალდამცავი ორგანოების, ან სხვა კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების მისვლამდე ხელმისაწვდომი წინასწარი ინფორმაცია შემთხვევის მიზეზისა და გარემოებების შესახებ და გადასცეს **მიმწოდებელს** გარემოებების შემდგომი გამოძიებისათვის;
- 7.4.5. მიიღოს გონივრული და ხელმისაწვდომი ზომები სადაზღვევო შემთხვევის დროს ზარალის შეწყვეტის, შემცირების ან დაზღვეული ქონების გადარჩენის მიზნით;
- 7.4.6. შეინარჩუნოს დაზიანებული ქონება **მიმწოდებლის** წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩნდა სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ; ამასთან შეუძლია შეცვალოს დაზიანებული ქონების გარეგნული სახე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება მიმართულია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან ზარალის შემცირებისკენ და შეთანხმებულია **მიმწოდებელთან**;
- 7.4.7. არაუგვიანეს 1 თვისა სადაზღვევო შემთხვევის დღიდან, მოიწოდოს **მიმწოდებელს** წერილობითი განაცხადი, რომელიც შეიცავს სადაზღვევო შემთხვევის დეტალების შესახებ **შემსყიდველისთვის** ცნობილ ყველა გარემოებას და ქონების განადგურების, დაზიანების ან სხვა დანაკარგის შემთხვევაში შესაბამისი ქონების აღწერილობა და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევის დღის მდგომარეობით;
- 7.4.8. ზარალის შესახებ განაცხადთან ერთად წარმოადგინოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო შემთხვევის ფაქტი და მიზეზები:
- აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემისას - სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოების დასკვნა;
 - წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელქტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის დროს - შესაბამისი კომპეტენტური უწყების დასკვნა;
 - სტიქიური უბედურებისას - სახელმწიფო მეტეოროლოგიური ორგანოების ცნობა;
 - ზარალის გამომწვევი გარემოებების გამოძიებაში სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობისას - ცნობა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებიდან სამართლებრივი ძიების მიმდინარეობის შესახებ;
- 7.4.9. **მიმწოდებელს** შეუძლია ზემოთ ჩამოთვლილის გარდა **შემსყიდველისგან** სხვა დოკუმენტების მოთხოვნა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილი დოკუმენტების არქონის გამო **მიმწოდებლისთვის** შეუძლებელია სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის დადგენა და ზარალის მოცულობის განსაზღვრა;
- 7.4.10. მისცეს **მიმწოდებელს** იმის შესაძლებლობა, რომ დაათვალიეროს ან გამოიკვილოს დაზიანებული დაზღვეული ქონება, გამოიძიოს მიზეზები და დაადგინოს ზარალის სიდიდე;
- 7.4.11. წარმოადგინოს საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი საბუთი განადგურებულ, დაკარგულ ან დაზიანებულ ქონებაზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში;
- 7.5. წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, **მიმწოდებელს** აქვს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლება;
- 7.6. **მიმწოდებელი ვალდებულია:**
- 7.6.1. აუნაზღაუროს **შემსყიდველს** ან **მოსარგებლეს** სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი წინამდებარე პირობების შესაბამისად;

- 7.6.2. ზარალის გამომწვევი მიზეზის, გარემოებების და ოდენობის დადგენის და ამ პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის მანძილზე გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 7.6.3. იმ შემთხვევაში, თუ **მიმწოდებელი** უარს აცხადებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე, შეატყობინოს **შემსყიდველს** წერილობით ამის შესახებ 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც გაირკვევა ზარალის გამომწვევი მიზეზები და გარემოებები;
- 7.7. **მიმწოდებელი** უფლებამოსილია გადადოს გადაწყვეტილების მიღება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ:
- 7.7.1. ტარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, გარემოებების და ზარალის მოცულობის შესახებ. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადა იზრდება ექსპერტიზისათვის საჭირო დროის პერიოდით;
- 7.7.2. სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიმდინარეობს გამოძიება სადაზღვევო შემთხვევაზე **შემსყიდველს/მოსარგებლის** მიმართ - გამოძიების დასრულებამდე.

8. უსაფრთხოების მოთხოვნები

- 8.1. **შემსყიდველი** ვალდებულია გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს ის შენობა, რომელშიც განლაგებულია დაზღვეული ქონება (შენობა არ უნდა იყოს ავარიულ მდგომარეობაში, სახურავი არ უნდა იყოს დაზიანებული და არ ხდებოდეს წყლის გაჟონვა);
- 8.2. **შემსყიდველი** ვალდებულია შეინარჩუნოს დაზღვეული ქონების უსაფრთხოება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენობა, რომელშიც მდებარეობს დაზღვეული ქონება რჩება უმეთვალყურეოდ, შენობის კარები, ფანჯრები ან სხვა ტიპის შესასვლელები/გამოსასვლელები, სათავსოები უნდა იყოს სათანადოდ დახურული;
- 8.3. მარაგების დაზღვევისას, **შემსყიდველი** ვალდებულია განაღვოს დაზღვეული მარაგები მიწის დონიდან არაუმცირეს 12 სანტიმეტრი სიმაღლეზე და კედლიდან არაუმცირეს 30 სანტიმეტრ მანძილზე.

9. სადაზღვევო ანაზღაურება

- 9.1. **მიმწოდებელი** ანაზღაურებს ზარალს მას შემდეგ რაც დოკუმენტალურად დადასტურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტი;
- 9.2. **სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება:**
- 9.2.1. **ქონების სრული განადგურებისას** – მისი რეალური ღირებულების ფარგლებში (არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა), ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ნარჩენი ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დარჩენილი ქონების ღირებულება);
- 9.2.2. **ქონების ნაწილობრივი დაზიანებისას** – მისი უშუალოდ შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად საჭირო დანახარჯების მიხედვით;
- 9.3. **შემსყიდველს** არ შეუძლია უარი განაცხადოს ნარჩენ ქონებაზე, რომელიც დარჩა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, მიუხედავად მისი დაზიანების ხარისხისა. ქონების ნარჩენი ღირებულება გამოიქვითება ასანაზღაურებელი თანხიდან;
- 9.4. ქონების სრული განადგურებისას **მიმწოდებელი** უფლებამოსილია ანაზღაუროს სადაზღვევო თანხა სრულად (შესაბამისი **ფრანშიზის** გამოკლებით), ქონების ნარჩენი ღირებულების გამოკლების გარეშე. ამასთან, **მიმწოდებელზე** გადმოდის საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც მიიჩნევა მთლიანად განადგურებულად;
- 9.5. ქონება შეიძლება ჩაითვალოს სრულად განადგურებულად, თუ დანახარჯები მისი რემონტისათვის და აღდგენისათვის აღემატება მისი რეალური ღირებულების 70%-ს;
- 9.6. **დანახარჯები აღდგენაზე შეიცავს:**
- 9.6.1. დანახარჯებს რემონტის მასალებზე;
- 9.6.2. დანახარჯებს სარემონტო სამუშაოს ანაზღაურებაზე;
- 9.6.3. დანახარჯებს, რომელიც საჭიროა მასალების რემონტის ადგილამდე მისატანად;
- 9.6.4. სხვა დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია დაზღვეული ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად;
- 9.7. **სადაზღვევო ანაზღაურებისას არ იქნება ანაზღაურებული:**

- 9.7.1. დანახარჯები, რომელიც მიმართულია დაზღვეული ქონების ცვლილებისაკენ ან გაუმჯობესებისაკენ;
- 9.7.2. ნებისმიერი დანახარჯები რომელიც არ არის პირდაპირ მიმართული დაზიანებული ქონების აღსადგენად;
- 9.8. დანახარჯები აღდგენაზე გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევისას არსებული საბაზრო ფასებიდან გამომდინარე;
- 9.9. აღდგენითი სამუშაოებისას, დანახარჯებიდან გამოიქვითება რემონტის პროცესში გამოსაცვლელი დეტალების და ნაწილების ცვეთა.
- 9.10. ანაზღაურების ჯამური მოცულობა **ფრანშიზის** გამოკლებით არ გადააჭარბებს **პოლისში** მითითებულ სადაზღვევო თანხის ოდენობას;
- 9.11. სადაზღვევო ანაზღაურებას გამოაკლდება დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული **პრემიის** გადაუხდელი ნაწილი;
- 9.12. თუ **შემსყიდველს** ან **მოსარგებლეს** მესამე პირმა აუნაზღაურა ზარალი, მაშინ **მიმწოდებელი** იხდის მხოლოდ სხვაობას დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირის მიერ ანაზღაურებულ თანხას შორის. **შემსყიდველი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეგვატყობინოს **მიმწოდებელს** აღნიშნული კომპენსაციის მიღების შესახებ;
- 9.13. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ თანხმდებიან ზარალის სიდიდის და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ორივე მხარეს უფლება გვაქვს მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტიზა, რომელიც ინიშნება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე; ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ექსპერტიზის მომწვევი მხარე;
- 9.14. **შემსყიდველს** ასევე აუნაზღაურდება დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეული ქონების გადარჩენასთან და წინასწარ შეთანხმებულია **მიმწოდებელთან**. **მიმწოდებელი** ასევე ანაზღაურებს დაზღვეული ქონების გადარჩენისათვის გაწეულ ხარჯებს თუ გარემოებების გამო შეუძლებელია **მიმწოდებელთან** შეთანხმება და ხარჯები გონივრული ოდენობისაა გადასარჩენი ქონების ღირებულებასთან მიმართებაში;
- 9.15. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროისათვის ქონების რეალური ღირებულება აღმოჩნდა სადაზღვევო თანხაზე მეტი, მაშინ ზარალის ანაზღაურება მოხდება დაზღვეული ქონების სადაზღვევო თანხისა და რეალური ღირებულების პროპორციულად, იმგვარად რომ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდეს იმ პროცენტს რეალური ზარალისა, რამდენიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვეული ქონების რეალურ ღირებულებაში;
- 9.16. ყოველი ზარალის ანაზღაურება მოხდება **პოლისში** მითითებული **ფრანშიზის** გამოკლებით.

10. ორმაგი დაზღვევა

- 10.1. **შემსყიდველი** და **მოსარგებლე** ვალდებულია წერილობით შეატყობინოს ყველა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დადებულია დაზღვეულ ქონებაზე სხვა სადაზღვევო კომპანიებთან. ამასთან **შემსყიდველი** ვალდებულია მიუთითოს სხვა სადაზღვევო კომპანიების სახელწოდება, მათთან დაზღვეული ქონება, დაზღვეული რისკები და სადაზღვევო თანხების სიდიდე;
- 10.2. თუ სადაზღვევო შემთხვევისას დაზღვეულ ქონებაზე მოქმედებს სხვა დაზღვევის ხელშეკრულებაც ანალოგიურ რისკებზე და ამით საერთო სადაზღვევო თანხა ქონების რეალურ ღირებულებას აღემატება, მაშინ **მიმწოდებელი** ანაზღაურებს ზარალის წილს, რომელიც შეესაბამება **მიმწოდებელს** **პოლისში** მითითებულ სადაზღვევო თანხის შეფარდებას მთლიან სადაზღვევო თანხასთან.

11. რეგრესი

- 11.1. სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგ, **მიმწოდებელზე** გადმოდის მოთხოვნის უფლება გადახდილი თანხის ფარგლებში, რომელიც **შემსყიდველს** ან **მოსარგებლეს** აქვს იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია ზარალზე;
- 11.2. **შემსყიდველს** ან **მოსარგებლეს** ვალდებულია გადასცეს **მიმწოდებელს** ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ გადმოსული რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის;
- 11.3. თუ **შემსყიდველმა** ან **მოსარგებლემ** უარი განაცხადს **მიმწოდებლისთვის** რეგრესული მოთხოვნის უფლების გადმოცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, იმ ზარალზე რომელიც ანაზღაურა **მიმწოდებელმა** ან ასეთი უფლების შესრულება შეუძლებელი გახდა **შემსყიდველის** ან **მოსარგებლის** ქმედებით, მაშინ **მიმწოდებელი**

თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან და უფლება ეძლევა მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

12. დაზღვევის ხელშეკრულების დასრულება და ბათილობა

12.1. პოლისის მოქმედება ავტომატურად დასრულდება ვადაზე ადრე შემთხვევებში:

12.1.1. თუ მოხდა სადაზღვევო თანხის სრული ანაზღაურება;

12.1.2. თუ დაზღვეულმა ქონებამ შეწყვიტა თავისი არსებობა;

12.2. დაზღვევის ხელშეკრულება ავტომატურად დასრულდება ვადაზე ადრე შემდეგ შემთხვევებში (და ზარალი არ ანაზღაურდება):

12.2.1. თუ **შემსყიდველის** მიერ განზრახ არასწორად არის მოწოდებული ინფორმაცია არსებითი გარემოებების შესახებ ან ეს ინფორმაცია გაყალბებულია;

12.2.2. თუ **შემსყიდველის** მიერ დამალულია ინფორმაცია არსებითი გარემოებების შესახებ;

12.2.3. თუ **შემსყიდველი** განზრახ გამოიწვევს საფრთხის გაზრდას ან დროულად არ შეატყობინებს **მიმწოდებელს** საფრთხის გაზრდის შესახებ;

12.3. თუ **შემსყიდველს** სურს გააუქმოს დაზღვევის ხელშეკრულება, უნდა გააგზავნოს წერილობით შეტყობინება გაუქმების თაობაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში დასაბრუნებელი **პრემია** დაანგარიშდება ჯამური **პრემიიდან** გამომჟღავნებული ნაწილის ორმაგი ოდენობის გამოკლებით;

12.4. თუ სადაზღვევო პერიოდის მანძილზე **შემსყიდველს** აუნაზღაურდა ზარალი, გაუქმებისას **შემსყიდველი** ვალდებულია გადაიხადოს **პრემია** სრულად. ამავე დროს უკვე გადახდილი **პრემია** დაბრუნებას არ ექვემდებარება;

12.5. **მიმწოდებელს** უფლება გვაქვს ცალმხრივად გააუქმოს დაზღვევის ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით შეატყობინებს **შემსყიდველს** გაუქმებამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში დასაბრუნებელი **პრემია** დაანგარიშდება ჯამური **პრემიიდან** გამომჟღავნებული ნაწილის გამოკლებით;

12.6. დაზღვევის ხელშეკრულება უნდა დაიდოს მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც კანონის, სხვა სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნია დაზღვეული ქონების შენარჩუნების ინტერესი (მაგალითად: მესაკუთრე, დამქირავებელი და ა.შ.). დაზღვეულ ქონებაზე **შემსყიდველის** სადაზღვევო ინტერესის არარსებობისას, დადებული დაზღვევის ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად.

13. დავების გადაწყვეტა

13.1. დაზღვევის ხელშეკრულების გარშემო წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება: _____

#	მომსახურების აღწერილობა	რაოდენობა	პრეისკურანტის ღირებულება	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული პრეისკურანტის ღირებულება
1	2	3	4	5
1	ჯიხურების დაზღვევის მომსახურება	არაუმეტეს 280 ჯიხური	8,00 ლარი	

შენიშვნა: გამარჯვებულმა კომპანიამ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფასების ცხრილი უნდა წარმოადგინოს, ზემოაღნიშნული ფასების ცხრილის მიხედვით

უფლებამოსილი პირი (თანამდებობა/სახელი, გვარი): _____

ხელმოწერა/ბეჭედი: _____

ინფორმაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ

#	ორგანიზაცია	ხელშეკრულების ნომერი (არსებობის შემთხვევაში სატენდერო განაცხადის ნომერი)	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების თარიღი (მომსახურების ვადის მითითებით)	ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების ღირებულება
1					
2					
3					